საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 22 0000516724

19/05/2022

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ცენტრის მიერ დაწესებულებისგან შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭო წყვეტს მონიტორინგის თაობაზე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი № 59907 (24/01/2022) საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ცენტრმა №379658 და № 151989 წერილებით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას. აღნიშნულის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2022 წლის 24 მარტის № 307617 წერილით ცენტრში წარმოადგინა პოზიცია განსახილველ საჩივართან მიმართებით;

2.2. ზეპირი მოსმენა გაიმართა2022წლის 3 მაისს. საბჭომ შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისათვის წარმოდგენილი პოზიცია.

3.სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 მაისის № 512550 სხდომის ოქმის №4 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებით ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით